სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 7 23 0001708191

13/12/2023

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს შორის 2023 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების (N01-08-15/1240-2023-2) საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ დაწესებულ სასტიპენდიო პროგრამაში ,,აგრო სტიპენდია" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობისა და შერჩევის მიზნით, შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ედიშერ კვესიტაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, კომისიის თავმჯდომარე;
თამარ საჩანელი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კომისიის მდივანი;

მაია კილაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კომისიის წევრი;
იოსებ სარჯველაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
მალხაზ დოლიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
ქეთევან მახაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი, კომისიის წევრი.

2. საკონკურსო კომისიამ კანდიდატთა შერჩევის მიზნით გადაწყვეტილება მიიღოს არაუგვიანეს 2023 წლის 17 დეკემბრისა.

3. საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელოს (N01-08-15/1240-2023-2) ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრიტერიუმებით:

ა) დაუშვებელია სტიპენდიის მისაღებად კონკურსში იმ სტუდენტის მონაწილეობა, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;
ბ) სტუდენტს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პროცესში დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 (ოცდაათი) აკადემიური კრედიტი და მისი საშუალო სარეიტინგო ქულა არ უნდა იყოს 81-ზე ნაკლები;
გ) სტუდენტს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პროცესში დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 60 (სამოცი) აკადემიური კრედიტი და მისი საშუალო სარეიტინგო ქულა არ უნდა იყოს 81-ზე ნაკლები;
დ) უპირატესობა მიენიჭოს უფრო მაღალი ქულების მქონე სტუდენტს;
ე) სტიპენდიის გაცემისას უპირატესობა მიენიჭოს იმ სტუდენტებს, რომლებსაც წარდგენილი აქვთ სამეცნიერო ნაშრომი საუნივერსიტეტო კონფერენციაზე და დაიმსახურეს მაღალი შეფასება;
ვ) სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილე სტუდენტმა უნდა წარადგინოს პროგრამის ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი.

4. გამარჯვებულ კანდიდატთა შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.

5. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით